გაიმარჯვა მან, ვინც ძლიერია

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 9 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “სპარტაკი” (ერევანი) 3:0 (1:0).

“სპარტაკი”: ზატიკიანი, ვარდანიანი, მანტარლიანი, შაგინიანი, ბაბაიანი, კეგიანი, სუპრიკიანი, სემერჯიანი, ოვივიანი, არუთინიანი, ბეგლარიანი (ანტონიანი).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

ყოველ მოგებულ მატჩში, მით უმეტეს, თუ პრინციპულ თამაშში მოწინააღმდეგე დამარცხებულია საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით _ 3:0, გამარჯვებულ გუნდს სამართლიანად ეკუთვნის კომპლიმენტები. ამიტომ თბილისის დინამოელებსაც უნდა მიეზღათ ისე, რაც მათ დაიმსახურეს კარგი თამაშისათვის პირველ ტაიმში.

მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო და ერევნელთა კართან შეიქმნა ზედიზედ რამდენიმე მომენტი, რომელთა დამთავრება გოლით ისეთი კლასის ფორვარდებისათვის, როგორიც თბილისის “დინამოსა” ჰყავს, პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. გუნდი თითქმის წამსაც არ აყოვნებდა მინდვრის შუაგულში, ყველაფერი კეთდებოდა სწრაფად, ტემპში, და, რაც მთავარია, მწვავედ. ინიციატივა თავიდანვე აიღო მარჯვენა ფრთამ, სადაც კვლავ აჩვენა თავისი ლამაზი და პროდუქტიული თამაში ბარქაიამ, ხოლო მელაშვილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი პირველხარისხოვანი ფორვარდია, რომელსაც შესწევს მრავალფეროვანი, სწრაფი მანევრის უნარი.

“სპარტაკის” კარი რამდენიმეჯერ ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ეს ბეწვი საკმაოდ გამძლე გამოდგა და “სპარტაკმა” ძირითადად გაუძლო მოწინააღმდეგის ძლიერ შტურმს, რომელიც არ შენელებულა მთელი ტაიმის განმავლობაში. ერევნელებს არავითარი ორიგინალური და ღირსშესანიშნავი არა აქვთ საკუთარი კარის დაცვისას. უბრალოდ, ისინი იძულებული იყვნენ უკან დაეწიათ ორივე შუამარბი და დაწიეს კიდეც ისინი, რის შედეგად მათი საჯარიმო მოედნის ფარგლებში მოთამაშეთა დიდი დაჯგუფება მოხდა. სწორედ მცველთა ეს დიდი ჯგუფი აწარმოებდა თავგამოდებულ ბრძოლას და ახერხებდა თავის დაზღვევას უაღრესად მძიმე მომენტშიც კი. წინა ხაზზე სტუმრებს დატოვებული ჰყავდათ თავიანთი ძირითადი მოიერიშე ძალა _ ოვივიანი. იგი არ ჩერდებოდა ერთ რომელიმე კონკრეტულ ზონაში და მოძრაობდა მინდვრის მთელს სიგანეზე თავისუფალი ბურთის მიღების მოლოდინში.

ერთადერთი გოლი, რომლითაც აღინიშნა თბილისელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობა პირველ ტაიმში, გატანილ იქნა მე-15 წუთზე. მარცხენა ფრთიდან მიღებული ბურთი ბარქაიამ ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა კარისკენ. აქ იგი მოხვდა ვარდანიანს, შემდეგ ზატიკიანს და გავიდა კარში.

მეორე ტაიმი დაიწყო თბილისელთა ახალი მძლავრი იერიშებით. მე-6 წუთზე მესხი და მისი დარაჯი ვარდანიანი პირისპირ დარჩნენ ერთმანეთთან. ეს იყო თავდამსხმელისა და მცველის ნამდვილი “დუელი”, რომელიც თავდამსხმელის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მესხი, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გაუძვრა ვარდანიანს, სწრაფად გადასცა ბურთი და ბარქაიამ ზუსტი დარტყმით გაიტანა მეორე გოლი _ 2:0.

ანგარიშის ზრდას, რომელიც ასეთივე დაგვიანებით მოჰყვა თბილისელთა დიდ უპირატესობას, თითქოს კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა უნდა შეეტანა მის თამაშში, მაგრამ მოხდა პირიქით. თუ მარჯვენა ფრთა კვლავინდებურად განაგრძობდა გამართულ თამაშს, მარცხენა ფლანგზე მთლიანობა დაირღვა. მესხი იშვიათად ღებულობდა გადაცემებს და მისი უშუალო შეტევის სიმწვავე აშკარად მოაკლდა გუნდს. გარდა ამისა, მისი უახლოესი პარტნიორი _ ღოღობერიძე ამ ბოლო ხანებში რატომღაც ცდილობს ითამაშოს შორს მიწოდებულ ბურთზე, გარღვევით, რისთვისაც საჭიროა დიდი სისწრაფე და ენერგია, ასეთი გადაცემები საჭიროა მიეცეს არა ღოღობერიძეს, არამედ მესხს, ხოლო თბილისელთა კაპიტანმა უნდა შეასრულოს თავისი სერიოზული და საპასუხისმგებლო ფუნქციები: ბურთების განაწილება და საერთო ურთიერთმოქმედების რეგულაცია მინდვრის შუაგულში.

მეორე ტაიმის დიდი ნაწილი მიმდინარეობდა ორმხრივ ბრძოლაში და იყო შემთხვევები, როცა სპარტაკელებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ კოტრიკაძე შეუცდომლად, გაბედულად იღებდა ბურთებს.

მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს თბილისელებმა კვლავ ხელთ აეღოთ ინიციატივა და სრული ძალით გაეშალათ იერიში. 2-ე წუთზე კალოევმა მოუსწრო ზატიკიანის მიერ უკუგდებულ ბურთს და ზუსტად გაიტანა მესამე გოლი _ 3:0. გაიმარჯვა მან, ვინც ძლიერი იყო.

რ. სტაჟაძე.
“ლელო”, 11 სექტემბერი, 1960 წ.